

დაძლევის სტრატეგიები და კონტროლის ლოკუსი აუტიზმის სპექტრის
დარღვევის მქონე ბავშვების მშობლებში

თამარი გეგეჭკორი

მეცნიერებისა და ხელოვნების ფაკულტეტი:

კლინიკური ფსიქოლოგია, მაგისტრატურის II კურსი

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე კლინიკური ფსიქოლოგიის მაგისტრის
ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

სამეცნიერო ხელმძღვანელი: თინათინ ჭინჭარაული, ასოცირებული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2018 წელი

განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ, ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენებული, ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

თამარი გეგეჭკორი, 5 იანვარი, 2018 წ.

აბსტრაქტი

მოცემული კვლევის მთავარი მიზანი იყო აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვების მშობლებში/მეურვეებში ლოკუსის კონტროლსა და დამღევის გზებს შორის ურთიერთმიმართების შესწავლა. კვლევაში გამოყენებული იყო ჯგუფთაშორისი კვაზი-ექსპერიმენტული სქემა, სადაც დამოუკიდებელ ცვლადს წარმოადგენდა სტრესული სიტუაციის არსებობა, ორი დონით, კერძოდ: 1. სტრესული სიტუაციის არსებობა, რომელიც განისაზღვრა მშობლების მიერ ბავშვის დიაგნოზით - აუტიზმი - და მისი თანმდევი პროცესებით - წარმოდგენილი იყო აუტისტური დარღვევების მქონე ბავშვების მშობლებით (N=50) და 2. მსგავსი სიტუაციის არ-არსებობა, წარმოდგენილი ტიპური განვითარების მქონე ბავშვთა მშობლებით (N=50). დამოკიდებულ ცვლადებს წარმოადგენდა კონტროლის ლოკუსი (როტერის შიდა და გარე კონტროლის ლოკუსის სკალის მონაცემები (Rotter (1966), იხ. დანართი 1)) და დამღევის სტრატეგიები (დამღევის სტრატეგიების კითხვარის მონაცემები (Lazarus & Folkman 1988 იხ. დანართი 2)). ჩვენ ვვარაუდობდით, რომ 1. საკონტროლო ჯგუფთან ანუ განვითარების დარღვევის არ მქონე ბავშვების მშობლებთან/მეურვეებთან შედარებით, დიაგნოზის მქონე ბავშვების მშობლები მეტად იქნებოდნენ მიდრეკილი კონტროლის გარე ლოკუსისკენ; 2. დიაგნოზის მქონე ბავშვების მშობლებში ნაკლებად გამოვლინდებოდა ადაპტური დამღევის სტრატეგიები.

შედეგების მიხედვით, ამ კონკრეტული შერჩევითვის გამართლდა მხოლოდ მეორე ჰიპოთეზა. კერძოდ, მნიშვნელოვანი განსხვავება არ გამოვლენილა ლოკუს კონტროლის მხრივ, თუმცა აუტიზმის სპექტრის მქონე ბავშვების მშობლებში მეტად დაფიქსირდა მალადაპტური დამღევის გზები, საკონტროლო ჯგუფის მშობლებთან შედარებით.

The study aimed to investigate if there are the common tendencies in two variables - locus of control and coping strategies - in parents of autistic children. We used two questioners for locus of control (internal-external locus of control scale, Rotter 1966, see the first appendix) and coping strategies (coping strategies, Lazarus, see the second appendix). The study used quasi experimental scheme, the independent variable was situation associated with stress,(child's diagnosis as a stressor for parent) with two levels: parents with autistic children(N=50, group A) and parents with children without any developmental issues(N=50, group B). Dependent variables were: locus of control and coping strategies.

Supposedly, 1.group A would show more external locus of control 2. group A would show less adaptive coping strategies, than group B.

Results indicated that second hypothesis is right for this population, in particular, there was no significant difference in locus of control, but nevertheless, adaptive coping strategies were less typical for parents with autistic children. We can say, that sometimes maladaptive coping strategies are effective defenders, for example focusing on ones emotions, avoiding excessive thinking about the problem, may help parent to gain inner piece for a while. But the ones, which we call adaptive, which focuses more on the problem(diagnosis) – when parents are more involved in child'sactivities and progress - are better for both, child's as well as parent's condition.